№ 95
კვირა, 18 მაისი 1897 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877 — 1897

ივერია

№ 95
კვირა, 18 მაისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ლატარია-ალეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულია 25 მაისს, მუშტაიდის ბაღში.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს **ჭავჭავაძისას** (ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი, № 21) და „წერა კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.

ახალი რუსული წიგნი

დაიბეჭდა და ყველა თბილელს წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად ახალი რუსული წიგნაკი: ПРАВДА О ТИФЛИСѢ, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. ფასი ერთი აბაზი.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ოთხშაბათს 28 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების წევრთა მორიგი საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები 1896 და 1897 წლ. მოქმედებისა;

2) ქუთაისის სათეატრო კომისიის ანგარიში;

3) მოხსენება გამგეობისა „საზოგადოების“ მოქმედების შესახებ მომავალ წელს;

4) მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა;

5) არჩევანი გამგეობის იმ წევრთა, რომელნიც ვადის დასრულებამდე ანებებენ თავს საზოგადოების სამსახურს და აგრეთვე ორის კანდიდატისა;

6) არჩევანი საზოგადოების წევრებისა. (3—უ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულება დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. — დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ-მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

ახალი ამბავი

—

⁂ კავკასიის და პეტერბურგის კაპიტალისტებს აზრადა აქვთ თურმე დააარსონ ახალი ბანკი, საიდგანაც ფულის სესხად გატანა შეეძლება იმათ, ვინც კავკასიის ბუნების სხვა-და-სხვა სიმდიდრის შემუშავებას მოისურვებს. ძირითადი თანხა ბანკისა 2,500,000 მანეთი უნდა იყოს.

⁂ ქალაქის გამგეობის ხმოსნების არჩევანის დროს აკრძალული იქმნება ყოველგვარი კამათი და სიტყვების წარმოთქმა.

ვისაც ხმოსნობაზე ყუთის დადგმა ენდომება, შეუძლიან თავისი სურვილ სიტყვიერად განაცხადოს.

⁂ ჩვენ მივიღეთ ჩვენის ახალგაზდა მომღერალის ი. კარგარეთელის მიერ ნოტებზედ გადაღებული და კ. მესხის გამოცემული ორი რომანსი „შემიყვარდა ეგ ხმა“ და „მშვენიერთა ხელმწიფავ“. რომანსები სუფთად და კარგად არის გამოცემული და იაფად ღირს—თითო ხუთი შაური.

⁂ რადგანაც ახლო მომავალში დილიჟნები უკვე დაიწყებენ მიმოსვლას ტფილისსა და კოჯორს შუა, ტფილისის მაზრის უფროსს თავ. ჯანდიერს უთხოვნია გუბერნატორისათვის, რომ დანიშნეთ ცალკე კომისია, რათა მან ყველა დილიჟნები გასინჯოს და თუ რომელიმე მათგანი გამოუსადეგარი გამოდგა, ნება არ მისცეს ხალხის ტარებისა. ამ საშუალების წყალობით მგზავრები ასცდებიან ყოველგვარს გაჭირვებას, რაიცა ძალიან ხშირია ხოლმე ეხლანდელ მედილიჟნების გამოო. დილიჟნების პატრონი ტერ-მინასიანცი არაოდეს არ აქცევს ხოლმე ყურადღებას მგზავრების მდგომარეობას, ხშირად ერთისა და ორის საათით აგვიანებს ცხენების შებმას, ან ისეთ მკვდარ ცხენს აბამს, რომ ძლივძლიობით ეღირსებათ ხოლმე მგზავრებს დანიშნულს ადგილამდე ჩასვლაო.

⁂ ამას წინად პეტერბურგში თავ. ა. ე. ერისთავმა მიართვა გზათა მინისტრს თავ. მ. ი. ხილკოვს ფოთის საპატიო მოქალაქეობის სიგელი ნიშნად მადლობისა იმ დახმარებისთვის, რაც თავ. ხილკოვმა გასწია ფოთის ნავთ-სადგურის აშენების საქმეში. ამასთანავე თავ. ერისთავმა წარმოსთქვა თავის მოსაზრებანი ფოთის ნავთ სადგურის შესახებ. თუმცა ჯერ-ჯერობით დიდმნიშვნელობა არა აქვს ნავთ-სადგურსა, ხოლო ეჭვი არ არის, რომ შემდეგში იმისი ასპარეზი გაგანიერდება და კავკასიის ვაჭრობასა და მრეწველობაში საპატიო ადგილს დაიჭერსო. („ახ. მიმ.“).

⁂ გუშინ წინ, 16 მაის, საღამოს 7 საათზედ, ავჭალის ქუჩაზედ ბ-ნ დავით დოდაშვილის სახლში უეცრად ავად გახდნენ ჩილინგდარი ბალასან პოლიანცი, მისი ცოლი და ექვსი შვილი. მაშინვე ეს ამბავი შეატყობინეს ექიმს და აღმოჩნდა, რომ ყველანი გაფუჭებულის ყველით ყოფილან მოწამლულნი. თურმე იმავე დღეს, დილის 11 საათზედ, ბალასან პოლიანცს უყიდნია ვიღაც კინტოსაგან 11 გირვანქა ყველი, გირვანქა ორ შაურად. ეს ყველი უჭამიათ რვა სულს და ყველანი მოწამლულან. კარგია კიდევ, რომ ექ- დ დროზედ მოიწვიეს; ექვსი მათ- ხა- მორჩნენ და ორი ჯერ კიდევ დაბექ- არის. ეს ამბავი შეატყობინ კორრეს- ნიტარო-სავეტერინარო ინ- ინისტრ- სტეფანიანცს. არ ვიცით, ყველ- ნეთ- მყიდველი კინტო უპოვნიათ, თუ სა- რა, აგრეთვე არაფერი ვიცით, გამოჰკითხეს თუ არა იმ უბნის მცხოვრებთ, უყიდნიათ თუ არა იმათაც იმ დღეს ყველი კინტოსაგან. ამ გვარ შემთხვევაში საჭიროა სასტიკი გამოძიება.

ფელეტონი

—

ნაწყვეტი

—

გულს შავი ნისლი აწვება,
შავის სევდისა ზღვისანი,
შავად მეჩვენის ქვეყანა
და ბნელად სხივნი მზისანი.
ღამდება, ტურფად ენთიან
მაღლა ვარსკვლავნი ცისანი,
ყველა ისვენებს, მე ღამეც
ცრემლი მდის შავის დღისანი.

დ. მაჩხანელი

◆◆

დღევანდელ არჩევანების გამო

(ორიოდე შენიშვნა)

დღეს ტფილისელებისთვის დიდი დღეა,—დღეს ხმოსნების არჩევანებია. ამ საგნის გამო ადგილობრივს მწერლობაში დიდი შეხლა და კამათი იყო. მწერლობამ, კარგად იყო თუ ავად, თავისი მოვალეობა შეასრულა და ახლა საქმე ამომრჩეველებზედ მიდგა. იმათ სინიდისზედ არის დამოკიდებული ტფილისის ბედი და იღბალი მთელის ოთხის წლის განმავლობაში. დღევანდელი განაჩენი და მსჯავრი დიაღ დიდად საყურადღებო და მაღალ მნიშვნელოვანი იქმნება და ქალაქიც გულის ძგერით მოელის,—თუ ვის ამოირჩევენ ხმოსნებად და როგორი საბჭო ეყოლება ტფილისს, ამ მეცხრე ქალაქს მთელის იმპერიისას...

ძველის საბჭოს უვარგისობა და მისი უსარგებლო მოღვაწეობა ცხადზედ უცხადესი შეიქმნა. ადგილობრივს ჟურნალ-გაზეთობას ვინღა იტყვის, თვით რუსეთის მწერლობამაც არა ერთხელ და ორჯელ განკიცხა ეს საბჭო, რომელიც ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები გახდა. უჩვენოდაც ყველას კარგად ეხსომება, რომ ტფილისის საბჭო რამდენჯერმე გამოიყვანეს საოხუნჯო მოედანზედ და სასაცილოდ აიგდეს არა თუ მარტო კავკასიაში, არამედ მთელს რუსეთშიაც. ამ საბჭოს სახელი იქამდე გაუტყდა, ნდობა და პატივი იმდენად დაეკარგა, რომ ახლა თვით საბჭოს „ლეიბ-ორგანის“ გმირებსაც-კი თითქო ეთაკილებათ და ეხამუშებათ ვექილობა გაუწიონ და დღეს ეს გმირნიც საბჭოს განახლებას ჰლოლავენ. მაშასადამე, აშკარაა, რომ ამომრჩეველებმა სულ სხვა ხმოსნებს უნდა მიჰმართონ, სხვა აზრისა და გრძნობის კაცნი ამოირჩიონ და ამ გზით საბჭოც განაახლონ.

ძველ საბჭოს პირველს ნაკლს ხმოსანთა მიმართულება და ხასიათი შეადგენდა. ხმოსნებად სულ ისეთნი დადგნენ, რომელთაც სიმდიდრისა და შემოსავლის მეტი თითქმის სხვა სიკეთე არაფერი მოეპოვებოდათ. მოგეხსენებათ, რომ ეგრედ წოდებული მაღალი ბურჟუაზია გაბატონდა საბჭოში, იმას დარჩა ქალაქის ბურთი და მოედანი. თუმცა კანონმა და სამართალმა „ცენზი“ დააწესა, მაგრამ ეს „ცენზი“ იმას არ მოასწავებდა, ვითომ მარტო მდიდართა და შეძლებულთათვის ეღვაწნათ ხმოსნებს და მხოლოდ იმათ საამოდ განეგოთ ქალაქის საქმენიო. ჩვენში-კი, საუბედუროდ, ამ „ცენზის“ სახელით მხოლოდ მდიდარის და შეძლებულის სახეიროდ ამოირჩიეს ქალაქის ხმოსნები.

ამიტომ ტფილისის საბჭოც—ეს სოლოლაკელ „კრეზების“ პარლემენტი—პირველადვე ასცდა სწორე გზას. ამ სოლოლაკელ კრეზებს უფრო ემსახურებოდა ხმოსნობა და კიდეც ამ-ტომ საბჭომ თავი არ შეიტკია, საქვეყნო და სასიკეთო არა გააკეთა-რა. ხმოსნები თუ იკრიბებოდნენ, უფრო დროს გასატარებლად და თუ აკეთებდნენ რასმე, უფრო იმას, რაც მდიდრებისთვის იყო სანატრელი. ჩვენს ქალაქს თითქმის მილიონ ნახევრამდე შემოსავალი აქვს და ამ ფულით დიდი შეღავათი და შვება მიენიჭებოდა მთელს ქალაქს, მაგრამ საბჭოს წყალობით, ან არა მიენიჭა-რა და თუ კიდევ მიენიჭა რამე, ისიც ყველას ისე არა, როგორც საჭიროა.

ქალაქის გარეუბნები, სადაც ხელმოკლე ხალხი სცხოვრობს, უსუფთაობით და ბინძურობით ტლაპოებს მიაგვანან. მუშა ხალხის სადგურები სანახავადაც-კი შესაზარელია. სასმელი და საჭმელი ჩვენს ქალაქში ხომ ისეთი იყიდება, რომ ყოველ წამს ხელ-მოკლე კაცი სულ იმის ფიქრშია, არ მოვიწამლოვო. მოგეხსენებათ, თუ რა ნაირად წაიბილწა ღვინო, არაყი... საჭმელს ხომ რაღა თქმა უნდა: ერბოს მაგიერ მარღარინს ჰყიდიან, რძეს მაგიერ სახამებლით შეზავებულს წყალს!.. ამას დაუმატოთ შაუმიევის სელდები და არუთინოვის ტრიხინიანი ღორები და მაშინ მიხვდებით, თუ რა საფრთხესა და განსაცდელშია ტფილისის მკვიდრი. თითქო საბჭოს „სავაჭრო პოლიციაც“ ჰყავდა და ამ პოლიციას ხომ კიდევ საკუთარი წევრი განაგებდა, მაგრამ სანოვაგე მაინც თითქმის მთლად ჩარჩებმა იგდეს ხელთ. აბა ახლა მიბძანდით მომრიგებელ სასამართლოებში და იქ ჰნახავთ, რა აურებელი საქმეების დასტა აწყვია ყალბის ვაჭრობისა და სხვა ამ გვარ ბოროტების შესახებ!.. იცით მერე, რამდენს მრუდე სასწორს, საწონს და საწყაოს შეხვდებით, თუ-კი ბაზარში მიხვალთ და გასინჯავთ!?

ქუჩები გაასუფთავეს და გაანათეს, მაგრამ... სადაც მდიდარნი სცხოვრობენ! მილით წყალი გამოიყვანეს, მაგრამ ზაფხულობით მდაბიო ხალხი წყურვილს ვერც-კი იკლავს და საუბედუროდ მტკვარსაც არ ასმევენ,—ალბად „მირაბებს“ ჯამაგირი დააკლდებათ!.. საყასბო აქვთ და წელიწადში ექვსი ათას თუმნამდე იღებდნენ, მაგრამ გუბერნიის მკურნალი ამბობს, ეს საყასბო ისე ჰყარს, რომ ერთის ვერსის მანძილ-

⁂ აბასთუმანი. აქ ძალიან გამრავლდნენ ქურდ-ბაცაცები. შარშან იყო და თავი მობეზრებული გვქონდა ამ ვაჟბატონებისაგან. ერთის თვის განმავლობაში შვიდი თუ რვა სახლი გაჰქურდეს, მაგრამ ქურდები კი არც ერთი არ აღმოუჩენიათ. ეხლაც, დადგა თუ არა აპრილი, ქურდობამაც იმატა, სახელდობრ ორჯერ ზედიზედ გაჰქურდეს ივანე ალაჯანოვის საწვრილმანო დუქანი, წაიღეს ფული და ცოტა რამ წვრილმანი. მეორეთ ეწვივნენ ჩახალოვის საწვრილმანო დუქანს და აქაც ასევე მოიქცნენ, წაიღეს ფულათ და ცოტა წვრილმანი. მესამედ ფარჩეულის დუქანში მივიდნენ, მაგრამ პატრონი შიგ დაუხვდათ და ქურდები გაიქცნენ. მეოთხედ სპანდაროვის დუქანში მივიდნენ და აქაც ბედმა უმტყუნათ. ბევრი ეწვალნენ, მაგრამ კარები ვერ გასტეხეს და ხელცარიელები დაბრუნდნენ, დუქნებში რომ ველარას გახდნენ რა მერე პურის სავაჭრო ფარდულს მიესივნენ. ერთი და იგივე ფარდული პურისა რამდენჯერმე გაჰქურდეს. ბოლოს, ასე გასინჯეთ, სასწორი და სასწორის ქვებიც კი მოიპარეს, მაგრამ მეფურნემ ზედ მიასწრო, დაიჭირა ერთი ქურდი და პოლიციას წარუდგინა. ქურდმა თავისს ამხანაგები დაასახელა ექვსი კაცი; სხვათა შორის, ერთის ქურდის სახლში, როდესაც სახლი გაუჩხრიკეს, პოლიციამ შენიშნა, რომ ერთ კუნჭულში მიწა იყო მიყრილი. გადაყარეს მიწა და ახალ დაბადებულის ყმაწვილის გვამი იპოვეს. ამის შესახებ აქ ბევრი მითქმა-მოთქმაა, მაგრამ ჯერ ნამდვილად არავინ არა იცის-რა.

⁂ 16 მაისს, საღამოს 5 საათზედ, სიღ[illegible] მაზრის მცხოვრებელს მიხეილ დავი[illegible] სეხნიაშვილს გაუტეხნია კლიტე [illegible]ტიაშვილის სახლის კარებზედ, [illegible]ლის ქუჩაზედ და სდომებია სათიც ა[illegible]ევა, მაგრამ პოლიციელს ტრობას [illegible]ს შეუმჩნევია და დაუჭერია.

⁂ 16 მაისს, ნაშუადღევის ორს საათზედ, ბათუმის მცხოვრებელმა ბერტა თეოდორეს ასულმა ვოლფენზონმა მე-9 ნაწილის პოლიციაში განაცხადა, რომ მიხეილის ქუჩაზე, ლოტრანგთა ეკკლესიის მახლობლად, დავკარგე ფულის ქისა, რომელშიაც 111 მანეთი 9 კაპ. და პატარა გასაღები მქონდაო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ფული ტფილისის მცხოვრებელს გაბო ალავერდოვს აუღია, რომელმაც მხოლოდ 50 მან და 50 კაპ. და გასაღები გამოაჩინა, და დანარჩენის შესახებ-კი სთქვა, ქისაში არ იყოო.

შემოწირულება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულ ლატარია-ალეგრის კიდევ შემოსწირეს:

კნ. ბარბარე გიორგის ასულმა ბარათაშვილისამ — ჰიქის ჩასადგმელი ვერცხლისა ბროლის ჰიქით; ორი მშვენიერი ფარფორის ვაზა; ერთი ფრაჟეს სუდოკი.

კნ. მარიამ ზაქარიას ასულმა ერისთავისამ — ექვსი ფარფორის ფინჯანი; ოთხი ფარფორის ვაზა, ერთი ფარფორის საკარაქე და ექვსი თეფში.

ლიუდმილა ერასტის ასულმა გეგიაძისამ — ორი ხელოვნურად ნაკერი ცხვირსახოცი.

მიხეილ ჩოდრიშვილმა — სამი საპაპიროსე.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ახატელი. (თელავის მაზრა) ამ მაისში სწორეთ ოთხი წელიწადი შესრულდება, რაც მოულოდნელი უბედურება დაგვმართა დროებითი მდინარე წყალმა თურდომ. 1894 წელს თურდომ დასტოვა ძველებური თავისი რიყე და ჩვენ სოფელზედ გადმოვიდა. ეს მდინარე საშინელი ჩქარი, შფოთიანი და საშიში რამ არის, თან უზომო ქვა მოაქვს და მალ-მალე ჰხრამავს თავისს კალაპოტს. რაღა თქმა უნდა, კეთილი არ დაგვაყარა ამ მოურიდებელმა სტუმარმა. რაც-კი გზაზედ დახვდა, იმისი ნადგილევიც-კი აღარსად გაუშვა, მაგალითად, რამდენიმე საუკეთესო წისქვილი, მარანი (ქვევრებიც-კი ძირიანად დაგლიჯა და მილეწა), ზვრები, ვენახები ქვითა და ნარიყით აავსო, ზოგიერთში მარტო ვაზის თავები-ღა სჩანს და პატრონებმა თავი დაანებეს, რადგანაც იმათი გაწმენდა შეუძლებელია. რამდენისამე გლეხ კაცის სახლებიც იმსხვერპლა, ქვით აავსო და მიანგრია. ადამიანი არავინ დაურჩვია, რადგან დღეც და ღამეც ყველას მოლოდინი გვაქვს თურდოსი და ვისაც-კი მიუახლოვდება ეს სტუმარი, მაშინვე სცლიან სახლს და წივილ კივილით გარბიან შორს მეზობლებთან, ნაცნობებთან...

ყოველ წელიწადს შიშით და ვაებით მოველით გაზაფხულს, რადგანაც უბედურების მეტს არას მოგვიტანს იგი. წელს მარტმა და აპრილმა ჩუმად გაიარა, მხოლოდ მაისმა კი თავი იჩინა უწინდებურად. თუ არ გაკეთდა ამ წყლის სათავე, აქ აღარავის გვედგომილება, მხოლოდ გაკეთება კი ძალიან ძნელია და ვერას გზით ვერ შესძლებს ჩვენი სოფელი, თუ რამდენიმე სოფელი ბეგრით არ შეგვეწია და არ მოგვეშველა.

ა. დ. მგალობლოვის ასული

დ. ცხინვალი, 10 მაისი. ხანგრძლივის წვიმებისა გამო ლიახვმა საშინლად მოიმატა. მოაქვს აუარებელი ძირიანად დაგლეჯილი უშველებელი ხეები. ცუდ მდგომარეობაშია ლიახვის ნაპირზე მდებარე ქუჩები, რადგან ნელ-ნელა უთხრის ძირს და განუწყვეტლივ ცვივა მიწა. რამდენსამე ალაგას წყალი ისე ახლოა მისული, რომ საძირკველიც-კი სჩანს. ერთ მხარეს ჩამოსჭამა რამოდენიმე ვენახი და წაიღო დუქანიც, რომელიც ხიდის ყურთან იმყოფებოდა, ხიდს შიში არა აქვს წახდენისა, რადგან ქვითკირის ბურჯები ძალიან მკვიდრად არიან აშენებული. სამაგიეროდ პატარა ლიახვის ხიდი ცუდს მდგომარეობაშია: ისეც ნახევრად დაშლილს ხიდს ერთი ბურჯიც გამოაცალა და საშიშია ფეხით მოსიარულეთათვის გავლა, რადგან ერთს ალაგას ძალზედ ჩაზნექილა და ფამფალი გააქვს. გორში მიმავალი ფოსტა უკან დაბრუნდა, რადგან პატარა ლიახვს ისე მოემატა, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო მეორე ნაპირას გადასვლა.

გორიდგან ცხინვალში მრავალი ხალხი დადის ყოველ დღე. დილიჯანი დიდის წყლისა გამო ვერა ჰბედავს შესვლას წყალში, ხალხი და ბარგი ხიდზედ გადაჰყავთ და გადააქვთ, შემდეგ მეორე დილიჯანში სხდებიან ცხინვალისთვის.

დიდს მადლს იზამს ვისიც ჯერ არს, ყურადღება რომ მიაქციოს ამ ნახევრად დაშლილ ხიდს და რამდენადმე მაინც გაამაგრებინოს, თორემ თუ დღეს არა, ხვალ მაინც უბედურებას დაატრიალებს დაზიანებული ხიდი.

ილ—ძე

ტრიხინა და ღორი

(საამდღეისო იგავ-არაკი)

ბარიათინსკის ქუჩაზედ, სწორედ ორის რუსულის გაზეთის რედაქციის შუა იჯდა ერთი გამხდარი ტრიხინა ნეხვის გუნდაზედ და მდუღარება ჩამოსდიოდა. ეტყობოდა, რომ რაღაცა დარდი, რაღაცა ნაღველი ამ პაწია არსებას პაწია გულს უკლავდა და იგი „სულის ობლობასა“ ჰგრძნობდა.

სად იყო და სად არ იყო გამოჩნდა ერთი ჩასუქებული ღორი. ეს პატივცემული პირუტყვი გამწყრალი, გამქისებული მოჰქროდა ჭენებით და ისეთი საზარელი ღრუტუნი გაჰქონდა, რომ შეებრალებოდა ადამიანს. მიირბინა ღორმა ნეხვის გუნდამდე, წაჰკრა ცხვირი ნეხვს და უცბად, თითქოს გაჭენებულს ცხენს სადავე მოსწყვიტესო, უკან დაიწია და გაოცების ნიშნად კუდრაჭა კუდი ააცანცარა.

— კიდევ შენ, აი დაგლახვრა ჩემმა გამჩენმა! აქ რაღა ეშმაკმა მოგათრია?..

— ეჰ, ჩემო კარგო ეშვო, რომ იცოდე ჩემის გულის დარდები! რა ვიყავი და რაღა ვარ! ჩემი ცოდვა ჰქონდეს ექიმს ქიქოძეს... დღე ყოველ ვმრავლობდი და ვბღარტობდი, ვიყავით მე და შენ ერთ-სულ და ერთ-ხორც. ბ-ნი ისპანდიარიანცისა ტერ-სიმონიანცის და ჩვენის ქალაქის პატრონების წყალობით მეცა ვსუქდებოდი და შენცა. ეხლა-და...

— მოიცა, მოიცა, ფშავურ წისქვილივით რომ არახუნებ, ახლა მეც მათქმევინე-და... გააწყვეტინა სიტყვა ღორმა: რას მიჰქარავ, რას მიედ-მოედები?! ჩემის ქორფა გოჭების მზემ, მე ჩივილსაც-კი ვაპირებ, ერთად-ერთი ვექილი ხმოსანი იყო ჩემს მხარეს, ეხლა იმანაც მიღალატა, დარდით ქოსმანი ლამის ქონისაგან ჩამოვდნე და შენ გინდა მეც შენი ამხანაგი გამიხადო! ჩვენნი მოწყალენი იყვნენო, ღმერთმა მაგისთანა წყალობა ნურც ერთს ნუ მოუშალოს! კაი წყალობა იყო, შენ გასუქდებდნენ, გამრავლებდნენ, მე-კი საწყევლსა და საგინებელსა მხდიდნენ! იცი, რომ ამ ქვეყნად ერთად-ერთი სახელი და პატიოსნება-ღა მაქვს დარჩენილი, ხომ გაგიგონია, „სახელოვანი სიკვდილი სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსაო!“ მეც, ცოცხლივ ტალახსა და მწვირეში აღზრდილს, სანუგეშოდ ის-ღა მქონდა, რომ როცა მოვკვდები, დამთლიან, მიგემებენ, პირს ჩაიგემრიელებენ ჩემით და ცხონებას შემ[illegible]ლიან-მეთქი. იმათ-კი რა მიყვეს, რა, დაფიქრდი! გაიხსენე, რამდენი ადამიანის ნათესავი მოიწამლა შენის შხამით ჩემთა მახლობელთა ხორცისაგან, რამდენს დაუწიოკდა ცოლ შვილი!..

— შენ ხომ არა დაგიშავდა-რა, ჩვენ ხომ ვსუქდებოდით და ვიყავით ფუფუნებასა შინა ამა ქვეყნიურსა და სხვათა უბედურება რა ჩვენი საზრუნავია?! გააწყვეტინა სიტყვა ახლა ამ ლაპარაკში გართულმა და საკუთარ მწუხარება-დავიწყებულმა ტრიხინამ: სულელი ყოფილხარ, ღორო: რა დროს ხალხისათვის ღვაწვა და შრომაა! რას ვაქნევ იმ სახელს, რომელიც ცოცხალს კუჭს ვერ გამიძღობს და მკვდარს სულს არ ჩამიდ-

---

ზედ კაცი ვერ მიეკარებაო. ამ სენს ვინ-ღა სჩივის, როცა საყასბოში საბჭოს „თვის-ტომნი“ ტრიხინიან ღორების მოშენებას ისე ერთგულად ეკიდებოდნენ, თითქო კრუხები წიწილების გამოჩეკასაო! ვინ ჩამოსთვლის ყოველ ამ უკუღმართობას, რომელსაც „კულტურული დამღა“ აზის. ძველ დროიდგანვე უცხოელნი და მგზავრნი ჩვენის ქალაქის ქებასა და დიდებას სწერდნენ და გაიძახოდნენ. ამათ ნაწერებში ხშირად ამოიკითხავთ, თუ რა სასიამოვნოა ტფილისში ცხოვრება, რა გემრიელი სანოვაგე იცის ამ კურთხეულს ქალაქშიო. წინად ასე ყოფილა, მაგრამ ახლა შინაურმა „კულტურამ“ ისე მოწამლა და მოშხამა სანოვაგე, რომ არამც თუ უცხოელებისა და მგზავრებისაგან, შინაურებისაგანაც-კი ცუდისა და ავის მეტი არა ისმის-რა...

სხვა ნაკლი ძველ საბჭოსი ის არის, რომ ხმოსნებმა საქალაქო თვით-მართველობის დედა-აზრს უღალატეს და მაცდურს მიმართულებას დაადგნენ. ყველამ ვიცით, რომ ტფილისი სხვა-და-სხვა მოდგმისა და ტომის ხალხით არის დასახლებული.

საბჭო-კი მარტო ერთის წყობის ხმოსნებმა ჩაიგდეს ხელში. ეს დიდი და მიუტევებელი შეცდომაა და თუ გნებავთ, ცოდვაც იყო.

საყურადღებოა, რომ ამ შეცდომას „ახალგაზდათა“ დასიც ვერ ასცდა და მხარი მისცა ამ გვარს მიმართულებას და ცალკედ გასვლას. როგორც უნდა იყოს, აღსანიშნავი აქ ის არის, რომ საბჭოს თაღლითმა მიმართულებამ თავი მალე იჩინა, ნაყოფი მალე გამოიღო. ჯერ ერთი, რომ პირველადვე საბჭომ შენ ჩემიაობა დაიწყო და ქალაქის სხვა-და-სხვა მოხელეობა, თანამდებობა თითქმის შენ-ჩემაობის მიხედვით დაურიგა, ხოლო ნიჭსა და ცოდნას, გამოცდილებას, პირადს ღირსებას ყური არ ათხოვა. ამიტომაც ქალაქის სამსახური მუქთა-ხორაობად გარდაიქცა. თუ რა უკიდურესობამდე მიაღწია საბჭოს ასეთმა უკუღმართობამ, შაუმოვის სელდების და არუთინოვის ტრიხინიან ღორების ამბავი ამტკიცებს. ქალაქის სამკურნალოს და საყასბოს გმირნი სასჯელს მარტო იმიტომ წაუვიდნენ ხელიდგან, რომ საბჭომ ზედამხედაობის მაგიერ, არა მხედაობის კალთა გადააფარა თავისს მოხელეებს. დიაღ, ნამდვილ მოხელეობისა და მოღვაწეობის მაგიერ მუქთა ხორაობა დაარსდა და ამას კიდევ ყოველ გვარი ბოროტება თან მოჰყვა. მაგრამ მხოლოდ მცირედი ნაწილი ბოროტებისა გამომჟღავნდა და ისიც შემთხვევით, თორემ ყველა რომ გამოქვეყნებულიყო, მაშინ დავინახავდით — თუ რა საშიშს მდგომარეობაში იმყოფება ქალაქი, როცა მისი საბჭო ეგრე გულ-დაუდებელი აღმოჩნდა და სამსახურს აქეთ-იქით ჯვარის მამის ლავაშივით ურიგებს, თითქოს ეს სამსახური არც ნიჭს, არც ცოდნას, არც სინიდისს და არც პატიოსნებას არ თხოულობდეს და ქელეხის კერძი იყოს.

აშკარაა ამისთანა გზაზედ დამდგარს საბჭოსა და ხმოსნების ამისთანა ერთგვარობას პროგრესიული მოღვაწეობა და შემოქმედებითი ძალა არ ექმნებოდა. ნამდვილად ასეც მოხდა. პირველადვე გამოაშკარავდა საბჭოს გონებითი და ზნეობითი კოტრობა. ოთხის წლის განმავლობაში ძველი საბჭო თავისს ძალასა და ღონეს სულ წვრილმანობას ახმარებდა. მთელმა ამდენმა დრომ ისე გაიარა, რომ არც ერთი თვალ-საჩინო საქმე არ გაკეთებულა, არ წარმოთქმულა არც ერთი ისეთი აზრი და წინადადება, რომელსაც ცხოველ-მყოფელი სხივი შეეტანოს ქალაქის ცხოვრებაში და ამ ცხოვრებისათვის განახლება და წარმატება მიენიჭებინოს. ასეთი შემოქმედებითი მოღვაწეობა მხოლოდ გონებით და ზნეობით განვითარებულს ინტელიგენციას შეუძლიან, მაგრამ ასეთს ინტელიგენციას საბჭოში ადგილი არა ჰქონდა და თუ ხანდახან ლიბერალური ღაღადი გაისმოდა, ეს ღაღადიც ყალბი და ფარისევლური იყო. რასაკვირველია, სადაც ერთი და იგივე აზრი და მიმართულება ჰსუფევს, იქ სადედააზრო ბრძოლა და შეხლა შეუძლებელია. ყველგან აზრის ასეთს ბრძოლას და შეხლას თან მოსდევს სიფრთხილე, კეთილშობილური ცილობა, სიმხნევე, ხოლო ყოველივე ეს უტყუარი საბუთია საქმისა და ცხოვრების პროგრესიულ სვლისა. ძველი საბჭო ამ ფხასა და უნარს მოკლებული იყო და უეჭველადაც უნდა მოკლებული ყოფილიყო, რადგანაც ამ საბჭოს არსებობის საგანს მკვიდრთა მარტო ერთის წყობის ბატონობისა და ბრძანებლობის პყრობა შეადგენდა და სხვა არაფერი. რა სადედააზრო ბრძოლა შეეძლო ამ საბჭოს, რომელმაც საქალაქო მეურნეობაში თავისს მცნებად შენ-ჩემიაობა და თვის-ტომობა აღიარა!... ამიტომაც, საბჭოს კრებებს ასე აკლდა ხოლმე სიცოცხლე და, სომხობის გარდა, სხვა საზოგადოება გულ-აცრუებული იყო და კრებებზედ არ დაიარებოდა სრულებით. თუნდაც რომ ეარა, რა სავარჯიშო სკოლას ჰნახავდა საბჭოს დარბაზში, რა გაკვეთილებს იქ მოისმენდა!...

რასაკვირველია, ტფილისს სულ სხვა საბჭო ესაჭიროება. დროა, რომ ახლა უფრო მეტად გულ-შემატკივარნი გამოვიდნენ ქალაქის პატრონობისა და გამგეობის სარბიელზედ. ტფილისის ბურჟუაზია ცხადად დაამტკიცა, რომ იმას შნო და უნარი არა აქვს ქალაქის მოვლისა და არც გონებითი და ზნეობითი ძალა შესწევს, რომ ამ დიდს და საქვეყნო საქმეს გაუძღვეს. რიგი და ჯერი ახლა მიდგა იმათზედ, რომელთაც ღონეც მოეპოვებათ და საზოგადო მოღვაწეობისათვის გულიც ერჩით. ასეთნი კაცნი ყველგან მოიპოვება. საერთო და საზოგადო საქმისთვის ყველანი უნდა გაისარჯნენ, ვინც უნდა იყვნენ. მარტო ერთი ბურჟუაზია ვერაფერს იზამს და მხოლოდ სახელსა და პატივს ახდის თვით-მართველობას, როგორც ეს ძველ საბჭომ ჰქმნა.

Plebs

გამს? რით ვერ გაიგე, რომ ჰუმანური აზრები სისულელეა და სხვა არაფერი. საქმე ის არის, რომ გვერდები გავისუქოთ, ეს ქალაქი ჩვენ დავიჩემოთ და კულტუროსნები შევიქნეთ. დიდი ბედენაა, თუ ორ-ფეხანი დააკლდნენ ქვეყანას! საქმე კულტურაა, კულტურა! მართლა-და, რა არ შესძლებია ამ დალოცვილს კულტურას! ჰნახე, სულ ორს წელიწადში ჩემი შთამომავლობა როგორ გამრავლდა და გაძლიერდა! როცა გადავხედავდი ხოლმე არუთინიანცის საწყობში ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს, გული სიამოვნებით მიწყებდა ტოკვას.

— ეს ხალხი რომ იწამლებოდა და იხოცებოდა, ეს ამოდენა უსამართლობა და უდიერობა?.. ვეღარ მოითმინა ღორმა.

— სულელი ნუ ხარ-მეთქი, ღორო! აქ ბრძოლაა არსებობისათვის და ამ ბრძოლაში ვინც სხვას ფეხით გაჰქელავს სამართლიანად თუ უსამართლოდ, სულ ერთია, გამარჯვებულიც ის არის!.. დარვინის თხზულებანი არ წაგიკითხავს?..

აქ-კი ხმა გაკმიდა ღორმა: სირცხვილით ვეღარც ისა სთქვა, რომ არ წამიკითხავსო, ერიდებოდა, ეს კულტუროსანთა შორის ნამყოფი ტრიხინა საკაცილოდ ამიგდებსო, და ვეღარც ტყუილი მოახერხა. მაინც-კი უკვირდა, ამ თვალითაც ძნელად დასანახს ტრიხინას ვერ უყურებ, რა ამბავშიაო! ერთი რომ შევუბერო, მთას იქით გადიკარგება; სამდლოდ ბინა გავუჩინე ჩემს იღლიაში, ყველაფერს ვუთმენდი, ვიდრე ხალხს ხოცვას არ დაუწყებდა, და ეხლა-კი ისე წათამამდა, რომ კულტუროსნობითაც-კი მოაქვს თავი და მეც-კი, ამის აღმზრდელს, ამის გამომკვებს, სულელს მეძახისო.

— სინიდისი, პატიოსნებაო? ღრუტუნით შეეკითხა მაინც ღორი: აი მე, გოჭობისა რა მეკითხება, მაგრამ ბურვაკობიდგანვე გონებაში ჩავარდი და რაც ჩემი თავი მახსოვს, არავინ მომიღორებია, ისევ მე მატყუებენ და მომაღორებენ ხოლმე, აი როგორც ქალაქის ჰირისუფალნი და მისნი ექიმნი მომექცნენ.

— სინიდისი, პატიოსნებაო! გამოაჯავრა ტრიხინამ თავისის წვრილის, ოდნავ გასაგონის ხმით: შე ოჯახდაქცეულო, თითქოს ამდენს ხანს ერთად ვიყავით და რით ვერ გაკულტუროსანდი, რით ვერ გაითქვიფე თავში, რომ სინიდისი, პატიოსნება ცალიერი რახუნია სიტყვებისა. სინიდისსა და სამართალს რომ გასავალი ჰქონდეს, განა ჩემი მომხრეები წამოსკუპდებოდნენ ქალაქის პატრონობის კოფოზედ? ხომ იცი, ყველას ჰირივითა ვძულვარ და არც სიკეთეს ვაყრი, ღვთის წინაშე, ვისმე, მაგრამ მაინც მე ვიმარჯვებ. რადა? იმიტომრომ სინიდისი და სამართლიანობა ქარს გავატანე, იმიტომ რომ მე არსებობისათვის ვიბძვი და სხვა დანარჩენი ჰუმანობ-მაიმუნობა ფეხებზედა მკიდია. რას აჰყოლიხარ იმას, რასაც დიდი ხანია მაზანდა დაეკარგა?!.

— მაინც არ მესმისო, კვლავ შეეკითხა ღორი: თუ იმ ჩემის ცოდვით სავსე ისპანდიარიანცსა (მაგრამ იმან ხომ ჩემი ცოდვა თან წაიღო კიდეც და დიდხანსაც ატარებს!), არუთინიანცსა და ტერ-სიმონიანცს ხალხის ხოცვა უნდოდათ, აიღებდნენ ცულს ხელში, გავიდოდნენ შარა გზაზედ, დაერეოდნენ გამვლელსა და გამომვლელს და გაჰქლეტავდნენ, მე რაღაზედ მომამდურეს ქვეყანა, მე რაღად გამიხადეს ისე საქმე და ისე რად გამაპირშავეს, რომ მკვდარსაც-კი ტყავზედ დამღასა მკრავენ, უმისოდ აღარავინ მეკარება.

— აი, უკბილომ-კი გჭამოს, საცა დაგკლავენ, და მეც თან ჩამატანოს! დაილოცა ტრიხინა: არა, შე ნეზვთაგან *) მოძულებულო, როგორ ვერ გაიგე, რომ ეგ უწინდელი წესი იყო ხალხთა ქლეტისა გამდიდრების აზრით. კულტუროსანიც ამიტომ არიან, რომ ჩუმადა ჰხოცონ ხალხი, ჯიბე გაისქელონ და თავიც მოიწონონ, —ჩვენა ვართ, რაცა ვართ, კულტურა ყელში ყიჰყიჰით ამოგვდის, სწავლა-განათლება სულ ტომრებით გვიწყვიაო...

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. საფიქრებელსა და საგონებელს ჩავარდნილი ღორი მივიდა იქვე მდგარს ხესთან და ზედ რამდენჯერმე ქეჩო გაუხახუნა. ამ დროს-კი ტრიხინა ჰფიქრობდა, რომ ოჰ, თუ ერთი ამ ნეხვს კიდევ მოუახლოვდი და დინგი დააკარე, პირში შევიხტები და მერე გაჩვენებ სულელს, რაც არის კულტურაო. ვიდრე ტრიხინა ამ მზაკვარს ფიქრში იყო, ღორმა ქეჩო მოიფხანა და კვლავ დაარღვია სიჩუმე.

— კარგი, თუ ეგ რაღაც კულტურაა მაგ სახით მოსაწონებელია, ეს „ივერია“ და „კავკასი“ რაღასა სწერენ მაშ, რაღას გვემდურებიან.

ამ ორის გაზეთის სახელი რომ გაიგონა, ტრიხინას ფერ-ფური წაუვიდა და სიბრაზით კბილები დააკრაჭუნა.

— ეგ კაენები, ეგ ძმის სისხლის მსმელნი როგორ-ღა ახსენე, შე გოჭობაშივე გასატრუსავო, შეჰყვირა: მაგათი ლაყბობა რა მოსატანია?! მაგათ-კი არა, აი იმათ უგდე ყურიო, სთქვა ტრიხინამ და პაწაწკინტელა, ნემსის წვერის ოდენა კუდი ორის რუსულ გაზეთის რედაქციისაკენ გაუშვირა: ჩვენნი ნამდვილნი გულ-შემატკივარნი, ჭეშმარიტნი კულტუროსანნი იქა სხედან! ეხლაც აქ იმიტომა ვარ მოსული, ვთხოვო, ძლიერ შეეცადნენ, რომ ისევ ჩემი მომხრეები და კეთილის-მყოფელნი იქმნენ ამორჩეულნი, თორემ, შენს მტერს, რომ მე და ჩემიანებს საქმე მოგვივა. არცკი შენ დაგეყრება, ღორო, კეთილი: შენც ხომ ჩემსავით ათასი სიბინძურე გიყვარს და თუ ის ახლები იქმნენ ამორჩეულნი, ისე გასწმენდენ და დააკრიალებენ ქალაქს, დინგზედ რომ კოპი დაგაჯდეს, იქ მისაკვრელი და მისაცხობელი სასუნსლავიც ვეღარსად იპოვო.

ამის გამგონე ღორს მოაგონდა, რომ ტრიხინა ნეხვზედ იჯდა, ძალიან გულით მოუნდა წაეკრა დინგი ნეხვისათვის და უფრო ახლო მიიწია ტრიხინასაკენ. ტრიხინას ეს ძლიერ ესიამოვნა და უფრო მოუტკბილა ხმა.

— იცი რა გითხრა, ღორო, ჩვენ მაინც სხვების ხმას ნუ ავყვებით, სთქვა მან: ისევ ერთად ვიცხოვროთ ძმურად და მეგობრულად, ერთმანეთს ჯანი ვუთხრათ და ჯანი გავიგონოთ! რა ვუყოთ, რომ მე გჭამ და შენს გვამში ვიკეთებ საშვილიშვილოდ მყივრსა და მაგარს ბინას, ამისათვის ძმობა და ერთობა როდი უნდა მოვსპოთ. აქ მოდი კიდევ რა გითხრა ყურში...

ღორს ძალიან გულით უნდოდა დინგი წაეყო ნეხვში, მაგრამ უცბად გაახსენდა, რომ ეს ლაწირაკი და უბინაო, უგვარო ტრიხინა განგებ მიქონავს ქეჩოს, ჩემს გულ-გვამში უნდა ჩაძრომაო, ერთი საზარლად დაიღრუტუნა და დამფრთხალი და შეშინებული დაეშვა კუკიისაკენ.

დარჩა ტრიხინა პირ-დაღებული და საცოდავად დაღრეჭილი სახე კვლავ ორის რუსულის რედაქციისაკენ მიილო ხვეწნითა და მუდარით.

ჩიორა

---

*) ნეზვი დედალი ღორია.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Кавказъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო წერილი ტფილისის მე-8 ნაწილის ერთის მცხოვრებელისა.

წელს კვლავ დავზარალდით წყალდიდობისაგან: სარდაფები წყლით აგვევსო, ავეჯი და სურსათი გაგვიფუჭდა, ყველაზედ უარესი კი ის არის, რომ სახლები დაგვინამიანდა. ხალხი ავად გახდა, იტანჯება. სწორედ რომ საზარელი სანახავია მთელი რიგე. დესიმონოვის მოედანი სავსეა შლამით და ნაგვით, აქაურობა სულ აყროლდა! ნეტა სად დადიან ქუჩის დამგველები სულერთთავად და ჩვენკენ-კი არც ერთხელ არ გამოიარეს. ჩვენც ხომ ვიხდით ქალაქის ხარჯსა და ამდენს უბედურებისაგან შვილები დაგვიხვდნენ ავად. რავუყოთ იმ წყალს, სარდაფებში რომ ჩაგვიგიდა, სად გადავღვაროთ? ქუჩაში? ქუჩა ისეა გამართული, რომ წყალი იქვე დადგება და აყროლდება. ერთად ერთი სურვილი-და გვაქვს ახლა და ერთი იმედი, რომ მთავრობამ დაჰხედოს ჩვენს ყოფას! მაშინ-კი, უეჭველია, სამართალს ვეღირსებით!..

ეხლა-კი!.. ღმერთო, რამდენ ხანს გვქონდა საბჭოს იმედი, რამდენს რასმე დაგვპირდნენ და სულ ტყუილი და ტყუილი! არც ერთი ჩვენი თხოვნა არ განიხილა საბჭომ შარშანდელის წლიდგან დაწყებული დღემდე. ვითხოვეთ, დაფასების დარჩენილი გარდასახადი გვაპატიეთო; არც თუ დიდია ეს გარდასახადი, იქნება სულ ასი თუმანი მოგროვდეს! გვიპასუხეს: „არ შეიძლებაო“. საბჭოსაც-კი არ წარუდგინეს ჩვენი თხოვნა განსახილველად!

ბ-ნის იზმაილოვის გვამი-კი ქალაქის ხარჯითა და დიდის ამბით დაასაფლავეს, ვითარცა დიდებული კაცი და იმის ოჯახობასაც პენსიას აძლევენ ქალაქის ფულიდგან! ეს ხომ შეიძლება! ეხლა რიყეზედ ვიღაც კეთილი კაცები დადიან და გვირჩევენ საბჭოს დასს ჩაუყარეთ თეთრი კენჭებიო!..

რა გვეთქმის ამ წერილზედ იმის მეტი, რომ ქალაქის სხვა უბნები, ჩვენის საბჭოსა და გამგეობის წყალობით, არც თუ გაცილებით მეტად ბედნიერნი არიან. ჩვენის ქალაქის ბატონები და პატრონები მხოლოდ სოლოლაკს ჰპატრონობენ, თორემ სხვა უბნებისთვის ვისა სცალიან. რა დღეშია ეხლა თუნდ ჩუღურეთი, ავლაბარი, ხარფუხი, დიდუბე, ვერა და განსაკუთრებით ეგრედ წოდებული „კალიუჩი, მოსკოვსკი და სხვა ბალკები“. განა ამ უბნებს პატრონი და გულ-შემატკივარი ჰყავს სადმე? არა, არც პატრონი ჰყავს და არც გულ-შემატკივარი და ნეტავი ვიცოდეთ, როდემდინ უნდა იყვნენ ასე უპატრონოთ მიგდებულნი? ნუ თუ ამას ბოლო არ მოეღება. რა თქმა უნდა, უნდა მოეღოს ბოლო, მაგრამ როდისღა?..

რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუდგენია პროექტი და წარუდგენია სახელმწიფო საბჭოსათვის განსახილველად. პროექტში ნათქვამია, რომ თუ თავადი ან აზნაური უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა და რაიმე ქონება დასტოვა ქალაქ ადგილას, ამ ნაირად განაწილდესო: უძრავი ქონება ჩაირიცხოს თავად-აზნაურთა წოდების სასარგებლოდა და მოძრავი-კი გადაეცეს იმ ქალაქის თვით-მართველობას, რომელშიაც სცხოვრობდა სიკვდილამდე გარდაცვალებული, თუნდაც სხვა რომელისამე გუბერნიის თავად-აზნაურობაში ყოფილიყოს ჩაწერილიო.

— მომავალ 1898 წელს იდღესასწაულებენ რუსეთის კრიტიკოს ვ. გ. ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას და ქ. პენზაში დაუდგამენ თუჯის ძეგლს იმ გიმნაზიის პირდაპირ, რომელშიაც იგი პირველადა სწავლობდა და აღიზარდა.

— პეტერბურგში აპირობენ გაზეთის გამოცემას რუსეთში ნავთის წარმოების გაძლიერების ხელის შესაწყობად. გაზეთი თვეში ან ორჯელ გამოვა, ან ოთხჯერ.

— ჯილდო, რომელიც გადასდო საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ 1911 წ. მისაცემად, ვინც საუკეთესო თხზულებას წარუდგენს ბატონ-ყმობის გაუქმების შესახებ რუსეთში, ამ ჟამად 6,000 მანეთამდეა ასული.

— საქალებო სამკურნალო ინსტიტუტში სწავლა დაიწყება ამ წლის ოქტომბრის გასულს.

უცხოეთი

—

საბერძნეთი. გაზ. „Berl. Tagebl.“-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი საბერძნეთის ჯარის შესახებ. კორესპონდენტი, რომელსაც ეკუთვნის ზემოხსენებული წერილი, თვით დასწრებია საბერძნეთ-ოსმალეთის ომს და, მაშასადამე, შემთხვევა ჰქონდა, დაწვრილებით გაეცნო საბერძნეთის ჯარის ავ-კარგიანობა. კორესპონდენტის აზრით, საბერძნეთის ჯარი მოუმზადებელი და მოუწყობელი იყო და, ახალგაზდა აფიცრების გარდა, რომელნიც მართლა თავ-გამოდებით იბრძოდნენ სამშობლოს დასაცველად, იგი ვერავითარს საწინააღმდეგო ძალას ვერ წარმოადგენდა ომში. ჯარი მოკლებული იყო წეს-რიგს და უფროს-უმცროსობას, ურომლისოდაც იგი წარმოუდგენელია. კორესპონდენტი თვით მოწმე იყო თურმე იმისა, რომ უბრალო ჯარის-კაცნი არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ აფიცრების ბრძანებას და განკარგულებას. ხშირად ისეც მოხდებოდა, რომ ჯარის-კაცი ჩხუბსა და აყალ-მაყალს აუტეხავდა ხოლმე ოფიცერსაო. ფარსალაში, რკინის გზის ვაგონის პირველ კლასში, განაგრძობს კორესპონდენტი, შემოვიდნენ სამნი ჯარის-კაცნი და იქვე თავის ბარგი-ბარხანით მოიკეცეს. ცოტა ხანს უკან ერთი მაიორი და ერთიც კაპიტანი შემოვიდნენ ვაგონში, იქვე ჯარის-კაცებთან დასხდნენ და არხეინად გააბეს ლაპარაკი. ჯარის კაცებს ყურადღებაც არ მიუქცევიათ, შემდეგ ახალგაზდა გენერალ სმოლენცის შტაბის აფიცერი შემოვიდა, და დაინახა თუ არა ჯარის-კაცნი, უბძანა თავიანთ ვაგონში გასულიყვნენ, მაგრამ ამ უკანასკნელთ მორთეს ყვირილი, ხელების ქნევა და არას გზით არ უნდოდათ. ჯარის-კაცებს 2 წინად მოსული აფიცრებიც მიემხრნენ და ერთი ვაი უშველებელი გაიმართებოდა, რომ სადგურის უფროსი არ ჩარეულიყო საქმეში და ყველანი არ დაეშოშმინებინა. ომის დროს, განაგრძობს კორრესპოდენტი, უარესი იყოო. აფიცრის ბრძანებას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და ჯარის-კაცი იქით გარბოდა, საითაც თითონ მოისურვებდა. ყოველისავე ამის გარდა, საბერძნეთის ჯარს არა ჰქონდა საკმარისად ტანისამოსი, თოფები, სურსათი, საავადმყოფოები და მრავალი სხვა. ხანდახან ჯარი მთელის კვირის განმავლობაში ქვასავით ხმელი პურით იკვებებოდა; ავადმყოფები, დაკოდილნი და დაჭრილნი რამდენიმე დღე ქუჩაში ეყარნენ უპატრონოდ. თამამად შემიძლიან ვთქვა, ამბობს კორრესპოდენტი, რომ საბერძნეთს ჯარი არა ჰყოლია, ისეთი გაწყობილი ჯარი, როგორც აწინდელს ევროპიელს შეუძლიან წარმოიდგინოს, ხოლო მოეძებნებოდა რამდენიმე ათასი კაცი, უხეიროდ შეიარაღებული, სრულიად მოუმზადებელი და გაუწვრთნელი.

— გაზეთ „Fran Zeit.“-ში დაბეჭდილია საუბარი ერთის კორრესპოდენტისა საბერძნეთის მინისტრ-პრეზიდენტ რალისთან. საბერძნეთსაო, უთქვამს რალის, არას გზით არ შეუძლიან დააკმაყოფილოს ოსმალეთი და მისცეს აუარებელი მილიონები, რომელსაც იგი თხოულობს. საბერძნეთს დიდი ზარალი მოუვიდა ამ ომის დროს. მარტო თესალიის განადგურება და მოსავლის გაოხრება 18 მილიონ ფრანკს შეადგენსო. ასე რომ საერთო ზარალი საბერძნეთისა 100 მილიონ ფრანკს აღემატებაო.

—

ოსმალეთი. „Polit. Corr.“ კორესპონდენტი ამბობს, რომ ოსმალეთის საერთო ხარჯი ომის დროს 36 მილიონს შეადგენსო: ჯარისა და სურსათის გადაზიდვა რკინის გზით და ზღვით 14 მილ. ფრანკი დაუჯდა ოსმალეთსაო, ჯარის შენახვა — 9 მილ. ფრანკი; ცხენებისა, საომარ იარაღებისა და სხვა ავეჯისა—7 მილიონი ფრანკი, პენსიები დაჭრილთა და დახოცილთა ოჯახებს—2 მილიონი; საბერძნეთის ფლოტის მიერ მიყენებული ზარალი—2 მილ. ფრ. და 2 მილიონიც ზედ მეტი, ასე რომ სულ 36 მილიონს შეადგენსო.

დამაკვირდი

უფრო ძლიერ ადამიანს მოსწონს და ენატრება, რაც მისთვის ძნელად მისაღწევია.

გერმანული ანდაზა.

* * *

კარგად ვიცით—რანიცა ვართ, მაგრამ იმისი-კი არა გაგვეგებარა, რანი ვიქნებით.

შექსპირი

***

სათნოებას მოკლებული ადამიანი ძნელად შეიძლებს ბედნიერების გონიერად გამოყენებას.

არისტოტელი

◆◆

ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორ უნდა იცხოვროს მოხუცებულმა კაცმა, რომ რაც შეიძლება კიდევ მეტ ხანს იცოცხლოს და ავადმყოფობა აიცდინოს თავიდგან?

ამის პასუხი ორის სიტყვით ითქმის. საჭიროა ყველაფერში: ზომიერება და მორიდება. თუ ახალგაზდა კაცს შეუძლიან გაჰბედოს გადამეტება სმა-ჭამასა, ქეიფსა და სიამოვნებაში, რადგანაც თავის ჯანის იმედი აქვს, მოხუცებულმა პირიქით თვითოეული თვის ნაბიჯი და საქციელი ჯერ კარგად უნდა მოიფიქროს და ასწონ-დასწონოს. ამით ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ მოხუცებული კაცი ყოველ გვარ სიამოვნებას უნდა მოაკლდეს, სახლში კარი ჩაიკეტოს და ისე იცხოვროს. სულაც არა: მოხუცებულსაც შეუძლიან ისეთისავე სიამოვნებით ცხოვრება, როგორც ახალგაზდას, მხოლოდ ყველაფერში ზომიერება ჰმართებს.

უწინარეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ აქ ჭამა-სმა. საზოგადოდ კუჭი ძლიერ არ უსუსტდება მოხუცებულს, მაგრამ გარდამეტებულ ჭამასა და სმას ძლიერ უნდა ერიდოს. ყველა გრძნობათა შორის გემოვნება დიდ ხანს შერჩება მოხუცებულს მოხუცს შეიძლება ძლიერ დააკლდეს თვალთ, ყურსაც ძლიერ აკლდეს, ყნოსვაც დააკლდეს, მაგრამ გემოვნება-კი დიდ-ხანსა რჩება ხელ-შეუხებელი, პირიქით, დიდის ხნის გამოცდილებისა გამო მოხუცებულს კაცს უფრო კარგი გემოვნება აქვს და უფრო კარგად არჩევს საჭმელს. საკვირველი არ არის ამიტომ, რომ საზოგადოდ მოხუცს უყვარს რიგიანადა სჭამოს, თუ კი შესაძლებელია. ტყუილად-კი არა სთქვა ბიბამ: „გემოვნება, უკანასკნელი ბეწვია, რომელზედაც ჰკიდია ბედნიერება ადამიანის არსებობისაო“. ეს ბოლომდე შერჩენილი გემოვნება ხშირად ბევრს უსიამოვნებას მიაყენებს ხოლმე მოხუცებულს კაცს, რადგანაც ხშირად მეტსა სჭამს, ვიდრე კუჭს მონელება შეუძლიან. მართალია, ჩვენ ყველანიც მეტსა ვჭამთ, ვიდრე ეს საჭიროა ჩვენის არსებობისათვის. ათას გვარი გემრიელი საჭმელი, კარგი მზარეულის მიერ მომზადებული, ძალა-უნებურად გვაღვიძებს მადას და გემოვნების დასაკმაყოფილებლად მომეტებულსა ვჭამთ, ვიდრე საჭიროა, მაგრამ რასაც ახალგაზდა კაცი აიტანს, იმას მოხუცი ველარ მოერევა. ხშირად საკმარისია, რომ მოხუცებულს კაცს, ძალზედ გაძღომის შემდეგ კუჭი მოეშალოს და ეს, რა თქმა უნდა, კარგს ნიადაგს მოუმზადებს სხვა-და სხვა ავადმყოფობას. კუჭის სისაღე უმთავრესი მიზეზია ადამიანის ჯანის სისაღისა, რა ხნისაც უნდა იყოს კაცი, და ნამეტნავად მოხუცებულისათვის.

საზოგადოდ მოხუცებულმა კაცმა უფრო ნაკლებად უნდა სჭამოს, ვიდრე ახალგაზდამ. საჭმელი ადვილად მოსანელებელი უნდა იყოს. მსუქანი საჭმელი მეტად სასარგებლოა ახალგაზდა კაცისათვის, მოხუცისათვის-კი ნაკლებად არის საჭირო და ძნელი მოსანელებელიცაა. ერბოსა და ზეთს, კომბოსტოს, შავს პურს თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მოხუცებულისათვის და მხოლოდ მუცელს ჰბერავს. ძლიერ კარგია მოხუცისთვის: რძე, თეთრი პური, თოხლო კვერცხი, ფრინველისა და ნადირის ხორცი, ბოსტნეულობა, სხვა-და-სხვა წვენი, შვრიის ფქვილი, ხილი, კაკაო, ყავა, ჩაი და ლუდი. არაყსა და ღვინოს რაც შეიძლება უნდა ერიდოს.

◆◆

სასამართლოს მატიანე

საქმე მღვდლის ქრისტესია ასათიანის მოკვლისა სიღნაღში.

—

ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ 12 მაისს განიხილა სიღნაღში ვეჯინის მღვდლის ქრისტესია ასათიანის საქმე, რომელსაც 1895 წელს, აპრილს, დაესხნენ ბოროტ-განმზრახველნი, გაუძარცვეს სახლი და თვით ისიც მოჰკლეს. ეს დანაშაული ჰბრალდებოდათ სოფელ ვეჯინის მცხოვრებელთ: ნიკ. ხარატოვს, მოსე ხატიაშვილს, შაქრო ჩალატაშვილს და ეკკლესიის დარაჯს შაქრო სიბაშვილს.

აი გარემოება საქმისა: სიღნაღის მაზრის სოფელ ვეჯინში სცხოვრობდა 70 წლის უცოლ-შვილო მღვდელი ქრისტესია ასათიანი. რადგანაც მღვდელს ასათიანს მდიდარის კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ამიტომ ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოეწადინა იმისი მოკვლა და 1895 წლის მარტის პირველ რიცხვებში შევარდნოდა ძალათ სახლში, წაეჭირა მღვდლისთვის ყელში და დახრჩობას უპირებდა თურმე, მაგრამ მღვდელი დასხლტომოდა ხელიდგან, გარეთ გამოვარდნილიყო და ყვირილი დაეწყო. ავაზაკი მაშინვე გაქცეულა, ასათიანს უცვნია კიდეც, ვინცა ყოფილა, მაგრამ იმის შიშით, რომ არ მომკლასო, ვერ გაუმხილებია, თუმცა ზოგიერთი მოწმენი მღვდლის ლაპარაკიდგან მიმხვდარან, რომ ეს ავაზაკი ეკკლესიის დარაჯი ზაქარია სიბაშვილი ყოფილა.

7 აპრილს, სწორედ ამ ამბის ერთის თვის შემდეგ, მღვდელი ასათიანი მოკლული უნახავთ სახლში. სახლი აუქოთ დაუქოთებიათ, ყუთები დაუმტვრევიათ და თუ რამე ფული ჰქონია, წაუღიათ. თავდაპირველად ეჭვი დარაჯ სიბაშვილზედ მიიტანეს; იმის ქოხი იქვე მღვდლის სახლის ახლო იდგა და იმ ღამეს იქ უნდა ყოფილიყო, რადგან ზოგიერთ მოწმეებს ცეცხლი დაუნახავთ. გამოკითხვის დროს სიბაშვილი უარზედ იდგა და განაცხადა, რომ მე იმ ღამეს სიცივისა და წვიმის გამო შინ წავედიო.

იმავე დღეს ბაკურციხის გზაზედ უპოვიათ მღვდლის ასათიანის ჯვარი და ამ გარემოებამ გამომძიებელი იმ აზრზედ დააყენა, რომ მკვლელობაში სხვა სოფლის მცხოვრებნიც უნდა ერივნენო. მალე ეჭვი ხატიაშვილსა და ხარატოვზედ შეიტანეს, რომელნიც თვითვე გამოტყდნენ თურმე, ჩვენ მოვკალითო. რამოდენისამე ხნის შემდეგ იმავე სოფლის მცხოვრებელის შაქრო ჩალატაშვილის ეზოში უპოვიათ ვერცხლის ფული, რომელიც ასათიანს ეკუთვნოდა თურმე. ამ რიგად გამოძიებამ ოთხის კაცის კვალს მიაგნო.

ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ ამ საქმის გამო 97 მოწმე დაიბარა და ორი დღის საქმის დაწვრილებით გაჩხრეკის შემდეგ დამნაშავენი გაამართლა, ხოლო ბრალმდებლის ამხანაგი ბ-ნი ტარსაიძე არ დასთანხმდა და საქმე სამოსამართლო პალატაში გადაიტანა. ბ-ნი ტარსაიძე მკვლელებად ალიარებს ხარატოვსა და ხატიაშვილს.

ფონდების საქმე ჩვენში.

ამ ცოტას ხანში „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებ[illegible]“ [illegible] კრება იქმნება და ჩვენ[illegible] [illegible]ის აზრით საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ ათასნაირ ფონდებს, რომელიც „საზოგადოებასა“ აქვს შეკრებილი. საქმე ის არის, რომ არც ერთი ამ ფონდთაგანი იმდენს ჯამს არ შეადგენს, რომ აღნიშნულის აზრისათვის საკმარისი იყოს. ხოლო თუ ამ ფონდებს ერთად შევაგროვებთ, მაშინ, ეჭვი არ არის, რაიმე საქმისათვის გამოდგება. კარგი იქმნებოდა, ყველა ეს ფონდები ერთად მოგროვილიყო და ჩვენთა დიდებულთა სახელზედ „სალიტერატურო ფონდი“ დაარსებულიყო. ამ ფონდიდან შესაძლებელი იყო ერთი ნაწილი გადადებულიყო „ირაკლის თავნის“-ათვის, რომელსაც ის დანიშნულება აქვს, რომ საზღვარ გარედ სწავლის განსაგრძობად წასულს განათლებულს ყმაწვილ-კაცობას აღმოუჩინოს დახმარება. რედაქციებსაც აქვს ამ გვარი ფონდები, მაგ., ,,კვალის‘‘ რედაქციას აქვს შეკრებილი ფული, მგონი, ას თუმნამდე ,,საერო ფონდისათვის‘‘. ამ „საერო ფონდში“ ზეპირ-სიტყვაობის ფონდიც არის დ̃ „ირაკლის თავნიც“. ჩვენის აზრით, ეს ფონდიც უნდა გაერთიანდეს დ̃ „ირაკლის თავნის“ ფონდი დაერქვას, რადგან, მე მგონია, ამ გვარად ზეპირ-სიტყვაობის შეკრების საქმესაც ვემსახურებით. რამდენად უფრო ბევრი გვეყოლება მეცნიერულად კარგად მომზადებულნი, იმდენად უფრო კარგად წავა არა თუ ზეპირ-სიტყვაობის საქმე, არამედ ყოველივე ჩვენი საქმე. ეს ყველამ კარგად ვიცით.

ეს ფული საჭიროა ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადაეცეს და დაევალოს ჰბეჭდოს ზეპირ სიტყვაობითი გარდმოცემანი და სხვა ისტორიული ნაწარმოებნი. შეიძლება რედაქციამ იმ აზრით იხელმძღვანელოს, რომ ნება არა გვაქვს სხვა-და სხვა აზრით შეკრებილი ფული შევაერთოთო, მაგრამ ეს შემცდარი აზრია. საზოგადოება როცა ფულებს იღებს რაიმე აზრით, იურიდიულს ,,კაზუისტიკას“ კი არ გამოუდგება, დიდი კმაყოფილი დარჩება, თუ ის დაწესებულება (,,წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება‘‘ და რედაქციები), რომელსაც იგი ფულებს უგზავნის, ხეირიანს გზას უჩვენებენ,—თორემ რა გამოვა აქედამ, რომ ეს ფული სრულად მოუხმარებლად იყოს და ერთი საქმე-კი არა კეთდებოდეს. ეს დაწესებულებანი არიან ზნეობრივად მოვალენი მთელის საზოგადოების წინაშე, ხეირიანად მოუარონ ამ ფულებს და არა დააობონ იგი.

კ. ა—ძე

◆◆

მცირე შენიშვნა.

(ი. გოგიჩაშვილის პასუხად)

,,ივერიის‘‘ 84 №-ში ი. გოგიჩაშვილის წერილია მოთავსებული, სადაც ავტორი გურიის ამხანაგობის ,,შუამავალის‘‘ სარევიზიო წევრებს შეეხება, მაგრამ ამასთან ავტორი დასძენს, რომ ვითომ ხსენებულ ამხანაგობას ყველა შემძლებელნი წევრნი ჩამოეცალნენ იმ[illegible] [illegible]ის შემდეგ, რაც ოზურგეთს[illegible] მა[illegible] და ლანჩხუთს შუა უკ[illegible]ოფილება და განხეთქილება ჩამოვარდაო და ასე ფიქრობენო, წელს ამხანაგობას აღარ ექნება შეძლება პარკი იყიდოსო და სხვა. ჩვენ არ შევეხებით რევიზიის წევრებისაკენ მიმართულს საყვედურს, ეს იმათ იციან, მხოლოდ ვარწმუნებთ ი. გოგიჩაშვილს, რომ გურიის ამხანაგობის წევრთაგანს არავის დაუნებებია წევრობისათვის თავი და არ ჩამოსცლია. ბევრი მოემატა წევრებიც და 3,000 მანეთი საწევრო ფულიც შემოვიდა ამხანაგობაში ამ წელს. პარკის საყიდლად ეს ამხანაგობა კარგად არის მომზადებული. პირ იქით, შარშან თუ 40 არშინი სახმობი ფარდული ჰქონდა, წელს ამას 100 არშინი მიუმატა და 140 არშინი აქვს. ამხანაგობამ 20—30 ათასი მანეთი კრედიტი გაიკეთა და ერთის მაგიერად სამს და ოთხს ადგილას მოეწყო და მზად არის, დაპირებული და ერთხელ განძრახული აზრი სისრულეში მოიყვანოს, მზად არის ხელი შეუწყოს ჩვენებურ მწარმოებლებს, თუ დაბრკოლება რამე არ გადაელობა წინ.

ამხანაგობის გამგენი.

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მაისი

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით საკუთარის მათის უდიდებულესობის კანცელარიის გამგე ტანეევი დანიშნულ იქმნა მთავარ გამგედ იმავე კანცელარიისა.

კალუგა 15 მაისს სიზრანო-ვიაზანსკის რკინის გზის მალახოვის სადგურზედ დაეჯახნენ ერთმანეთს საქონლის მატარებლები. მოკლულ იქმნა უფროსი კონდუქტორი; სამი ორთქმავალი დაშავდა და რამდენიმე ვაგონი დაიმტვრა.

ოდესსა პეტერბურგიდამ ჩამოსული უმართებულესის სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ობერ-პროკურორმა სლუჩევსკიმ, სამოსამართლო პალატის და ოლქის სამართლის ბრალმდებლების სამოსამართლო უწყების სხვა მოხელეთა თანადასწრებით დაათვალიერა ტირასპოლის მახლობლად სოფ. ტერნოვკაში ის ადგილი, სადაც ცოცხლად დაიმარხეს თავი მწვალებელთა. ჯერ-ჯერობით 25 გვამი იპოვნეს სხვა-და სხვა ადგილას დამარხული გლეხის-მწვალებელი თეოდორე კოვალევის მიერ.

კონსტანტინეპოლი საბერძნეთის გემი „არტემიზია“ განთავისუფლებულ იქმნა ელჩების სურვილის თანახმად.

ლონდონი „Times“ ს დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინოპოლიდამ, რომ პორტამ უპასუხა ელჩების ნოტასო. თავისს პასუხში იგი მორიგების პირობებს არ განიხილავს და აცხადებს, რომ მზადა ვარ ელჩებთან მოლაპარაკება დავიწყო როგორც-კი ზავის გარევანი წეს რიგი შესრულებულ იქმნება და თანაც აცხადებს, რომ ზავის ხელ-პირობა ფარსალში იქმნას ხელ-მოწერილიო

რომი სასამართლოში დაიწყო აჩჩიარიტოს საქმის გარჩევა. ბრალდებულმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ წინადვე არა მქონია განზრახული და მოფიქრებული მკვლელობაო, თორემ ყუმბარას ვიხმარებდო.

ლონდონი „Marninq Post“ს კონსტანტინოპოლიდამ ატყობინებენ რომ ნაბრძანებია 30 ბატალიონი სირიიდგან სერბიის და ბოლგარეთის საზღვრებზე იქმნას გადაყვანილი. ექვსი ტვირთის მზიდველი გემი წავიდა და თან დაბეჭდილი ბრძანებანი წაიღო.

„Times“ ატყობინებენ ათინიდგან: საბერძნეთის მთავრობას იმედი აქვს სამხედრო სასყიდლის გარდასახდელად მოახერხებს სესხის აღებას საბერძნეთ გარეშე, თუ ეს სესხი უზრუნველ ჰყო სამმა დიდმა სახელმწიფომ—რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა.

ლონდონი ირლანდიის საპარლამენტო დასმა შეიწყნარა განაჩენი, რომელშიაც ჩამოთვლილია უკმაყოფილება ირლანდიელთა და დაადგინა, რომ დედოფლის იუბილეის დღესასწაულში მონაწილეობას ნუ მივიღებთო

სოფია მთავარი დაბრუნდა თავის მეუღლით და პრინცესა კლემენტინათი.

◆◆

პეტერბურგის ბირჟა, 16 მაისი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ
ხუთ მანეთიანი ოქრო	— „	— „	— „
5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა	— „	— „	206$^1/_2$
4$^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	— „	— „	100$^1/_8$
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	99$^3/_8$	— „	— „
6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	99$^3/_8$	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	— „	— „	99$^3/_4$
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	—	285
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	—	247

განცხადებანი

ქალაქის მამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ოთხის წლით 1897—1901 წ. ქალაქის საბჭოს **ხმოსანთა არჩევანი კვირას,** 18 **ამა მაისს, იქნება** ტფილისის საბრანიის საზაფხულო სადგურში, მიხეილის ქუჩაზედ თაიროვის ბაღში.

კრება დაიწყება დილის 8 საათზედ. (3—6.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Мая 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.